აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 15. სხვა პირობები

**15.1.** ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

| **შემსყიდველი** | **მიმწოდებელი** |
|---|---|
| შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"<br>**მისამართი:** თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10<br>ს/კ 205140259<br>**საბანკო რეკვიზიტები:**<br>მიმღები ბანკი: TBCBGE22<br>მიმღები ბანკის დასახელება: სს ,,თიბისი ბანკი"<br>მიმღები ანგარიშის დასახელება: GE17TB1100000360200175<br><br>იოსებ ოზაშვილი _____ | **შპს „**კოპტერ.ჯი"<br>**მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.#16<br>**საბანკო რეკვიზიტები:**<br>მიმღები ბანკი: TBCBGE22<br>მიმღები ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი"<br>მიმღები ანგარიშის დასახელება: GE22TB7209236080100005<br><br>**გიორგი დანელია** _____ |

404510374

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**10.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

**10.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

**11.1.** ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

**11.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

**12.1.** მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

**12.2.** ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12.3.** ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**13.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. ფორს-მაჟორი

**14.1.** წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

**14.2.** ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

**14.3.** მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო

## 7. ანგარიშსწორება

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

**8.1.**თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

**8.2.** იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**9.1.**წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

**9.2.**წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

**9.3.**ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

**9.4.**პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**9.5.** ამ მუხლის მიზნებისათვის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად არ განიხილება, ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი არ დაესწრება სასწავლო პროგრამას, ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ მიიღებს შესაბამისი სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს;

**3.4.** წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**3.6.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1.** მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

**4.1.1.** შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"-ს ერთი თანამშრომლისათვის (ბესიკ ჯმუხაძე) „დრონის მართვის ტრეინინგის"-ს ორგანიზება და ჩატარება 2016 წლის 25 ნოემბრიდან - 2016 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით შპს კოპტერ.ჯის ოფისში - ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16.

**4.1.2.** მომსახურების გაწევა განახორციელოს სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე ტრენერის მეშვეობით;

**4.1.3.** მსმენელ(ებ)ი შესაბამისი სასწავლო მასალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

**4.1.4.** განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

**4.1.5.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2.** შემსყიდველი ვალდებულია:

**4.2.1.** სასწავლო პროცესის დასასრულს უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად ანაზღაურება, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი კანდიდატ(ებ)ი, ვერ დაასრულებს სწავლების პროცესს;

**4.2.2.** განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

**5.1.** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № გ.შ.25.11.16**

ქ. თბილისი „25“ნოემბერი“ 2016წ.

ერთი მხრივ, შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს კოპტერ.ჯი (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი დანელიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.** „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2.** „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3.** „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

**1.4.** „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5.** „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6.** „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

**2.1.** შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"-ს თანამშრომელისთვის (ბესიკ ჯმუხაძე) ტრენინგის ჩატარების (სასწვლო კურსის დასახელება - „დრონის მართვის ტრეინინგი“ (CPV კოდი - 80500000)) მომსახურების შესყიდვა.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500 ლარს;

**3.2.** მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**3.3.** დაფინანსების წყარო-შემსყიდველის საკუთარი სახსრები.